

# ევროპული სკოლა



INSPIRING EXCELLENCE IN EDUCATION FOR LIFE





## შლებთან ერთად მოჰორდებული შარმატებული ბამოცდილება

"ევროპული სკოლა" 2007 წელს დაარსდა. გაიარა სწრაფი განვითარების გზა და დღეს უკვე წარმოადგენს საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) აკრედიტებულ პირველ სკოლას საქართველოში. ამჟამად სკოლაში 3-დან 18 წლამდე 35 ეროვნების 900+ მოსწავლე ირიცხება. ევროპული სკოლა ახორციელებს ასაკის შესაბამის მრავალფეროვან სასწავლო პროგრამებს: სკოლამდელი ათბილდის ცენტრი, ქართული პროგრამა, რომელიც ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას; საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სამივე პროგრამა (PYP, MYP, DP) და ამერიკული უმატლესი სკოლა, რომელიც მოიცავს Advanced Placement (AP) კურსებს და AP Capstone Diploma-ს სრულ კურსს.

სკოლის ხელმძღვანელ მმართველ გუნდში არიან გამოცდილი პროფესიონალები საქართველოდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

სკოლა, სასწავლო პროგრამებთან ერთად, ახორციელებს მრავალფეროვან კლასგარეშე აქტივობებს, რომლებიც მოზარდებს 21-ე საუკუნისათვის საჭირო უსარებს უვითარებს. "ევროპული სკოლის" მასწავლებლები, მოსწავლეები მრავალ და კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული ხდების დანერგვით, ხელს უწყობენ მატალი შედეგების მიღწვას. "ევროპული სკოლის" კურსდამთავრებულთა ჩარიცხვები და მათი წარმატება ეროვნულ თუ მსოფლიოს პრესტიულ უმატლეს სასწავლებლებში დასტურია სკოლის დიდი ავტორიტეტისა და მაჩვენებელია იმ გზის სისწორისა, რომელსაც "ევროპული სკოლა" უკვე მრავალი წელია აღგას.

# საკულტურული დაწესებულებების აკრედიტაცია

## ქართული პროგრამა

2010 წელს "ევროპულ სკოლას" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
მიერ მიენიჭა ავტორიზაცია, ხოლო 2016 წელს - რეავტორიზაცია.

## საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამები

2009 წლის 9 დეკემბერს "ევროპულ სკოლას" მიენიჭა საერთაშორისო ბაკალავრიატის საფილომო  
პროგრამის ავტორიზაცია და ოფიციალურად გახდა საერთაშორისო ბაკალავრიატის მსოფლიო  
სკოლა - "IB World School". ამ სტატუსმა "ევროპულ სკოლას" საერთაშორისო ბაკალავრიატის  
საფილომო პროგრამის სწავლების ოფიციალური უფლება მიანიჭა. 2015 წელს "ევროპული სკოლის"  
საფილომო პროგრამამ წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია.

2012 წლის 2 ნოემბერს "ევროპულმა სკოლამ" მიიღო საერთაშორისო ბაკალავრიატის საბაზო  
პროგრამის (MYP) ავტორიზება, 2017 წელს კი - რეავტორიზაცია.

2016 წელს "ევროპულმა სკოლამ" გაიარა საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი პროგრამის (PYP)  
ავტორიზაცია.

2016 წელს "ევროპულმა სკოლამ" გაიარა საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი პროგრამის (PYP)  
ავტორიზაცია" და დაემატოს : 2021 წელს კი - რეავტორიზაცია.

2021 წლის 17 აპრილს "ევროპული სკოლა" გახდა ჰილსონის ცენტრი და მიიღო უფლება, მოსწავლეებს  
შესთავაზოს ჰილსონის კვალიფიკირები საერთაშორისო ბაკალავრიატის კარიერული პროგრამის IB CP  
ფარგლებში.

## ამერიკული უმაღლესი სკოლა (AHS)

ამერიკულმა უმაღლესმა სკოლამ 2015 წლის ივნისში მიიღო The North Central Association of Colleges  
and Schools under the AdvancED-ს სრული აკრედიტაცია.

2020 წელს მიიღო სრული ამერიკული აკრედიტაცია Cognia-ს მიერ და მიენიჭა განათლების ხარისხის  
შთამბეჭდავი მაჩვენებელი (IEQ) - 345 ქულა 400-დან.

2021 წელს ამერიკულმა უმაღლესმა სკოლამ მიიღო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრის აკრედიტაცია 4 წლის ვალით.

## ევროპული სკოლა

2015 წლის ნოემბრიდან "ევროპული სკოლა" არის College Board-ის წევრი, 2016 წელს კი სკოლა გახდა  
საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) წევრი.

2019 წლიდან კი "ევროპული სკოლა" არის საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) მიერ აკრედიტებუ-  
ლი ჰილველი სკოლა საქართველოში.



# საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) აკრედიტაცია

„ევროპულმა სკოლამ“ საქართველოში პირველმა მოიპოვა საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) აკრედიტაცია. CIS ლიფერი ორგანიზაცია სკოლების შეფასების დაწყმი. მსოფლიოში აღიარებული CIS აკრედიტაცია არის მაღალი სტანდარტის საერთაშორისო განათლების მაჩვენებელი, რომელიც ააფილებს მოსწავლეების მიღებას მსოფლიო კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში.

თვითშეფასების ხანგრძლივ და გამოწვევებით აღსავსე პროცესს, რომელშიც „ევროპულმა სკოლამ“ ძლიერი მხარეების და განვითარების პერსპექტივების იდენტიფიცირება მოახდინა, თან სთევდა CIS შეფასების გუნდის მიერ სკოლის ცხოვრების ყველა მიმართულების გაანალიზება საერთაშორისო აღიარებული CIS სკოლების სტანდარტებთან მიმართებაში.

„ევროპული სკოლისთვის“ CIS აკრედიტაციის მინიჭება ნიშნავს, რომ სკოლამ საერთაშორისო განათლების მაღალ პროფესიულ სტანდარტს მიაღწია და აცხადებს უწყვეტი განვითარების მზაობას.



## სოფიო ბაზეპ

### "ევროპული სკოლის" დირექტორი



"ევროპული სკოლამ" დაარსებიდან დღემდე გაიარა უწყვეტი განვითარების გზა, რათა დამკვიდრებულიყომ საერთაშორისო სკოლათ, სადაც მოსწავლები მულტიკულტურული გარემოში სწავლობენ განსხვავებული შეხედულებების მიმღებლობას, ტოლერანტობას, უყალიბობათ რეალური წარმოლგენა მსოფლიოს შესახებ და ამით იღებენ მდგრად გამოცდილებას, რაც, საბოლოო ჭამში, ესმარებათ, გახდნენ გლობალურად მოაზროვნე მოქალაქეები.

"ევროპულ სკოლაში" არსებული სამივე პროგრამაში: ქართული პროგრამა, საერთაშორისო ბაკალვრიატის პროგრამები, ამერიკული უმატლესი სკოლა - ერთნაირი სულისვეთება შეიძლება - ყველგან იგრძნობა სწრაფვა წარმატებისკენ. ჩვენ ვიღებთ ვალიტებულებას, მიუცემ მოსწავლეებს არა მიღებო საუკეთესო აკადემიური შედეგების მიღწევის შესაძლებლობა, არამედ განვუკითაროთ ის ფუნდამენტური უნარები და მიზოგმა, რომლებიც მათ მუდამ დაეხმარება წინსკოლაში.

## დოკტორ ბრად ბომო

### საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამების ხელმძღვანელი



ჩვენი პრიორიტეტებია: სწავლების ხარისხი, მოსწავლეთა მიღწევები, მათი მოტივაცია და მშობელთა ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში. ვიმედოვნებთ, სერტიფიკატებისა და ნიშნების გარდა ჩვენი კურსდამთავრებულები დაინტერესდებიან სხვებზე ზრუნვით, იწებან თავდაცერებული, ჰასუსისმგებლიანი გლობალური მოქალაქეები, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საზოგადოების განვითარებაში.

"ევროპული სკოლა" IB პროგრამებში სწავლა-სწავლებაში სრულყოფილი, საუკეთესო შედეგის მიღწევა უპირველესია მნიშვნელობის საკითხია. მოსწავლეებში სხვადასხვა ნიჭის აღმოჩენასა და წვრთნას, სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში ლიდერულ ურარებში გავარჯიშებასთან ერთად, წვლილი შეაქვს მობირდების პოლისტიკურ განვითარებაში და ემსახურება IB მოსწავლის პროფილის მახასიათებლების ჩამოყალიბებას.

## ირმა ბარბაშვილი

### ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორი



ამერიკული უმაღლესი სკოლა, აკრედიტებული ამერიკის სააკრედიტაციო ასოციაცია- Cognia მიერ, იკვლევს მოსწავლეთა მიღწევებსა და ძლიერ მსარეებს და ახდენს მათ განვითარებას ახალ სიმაღლეებზე. ამერიკული უმაღლესი სკოლა მოსწავლეს სთავაზობს განსაკუთრებულ შესაძლებლობებს მრავალმხრივი მიღწევებისთვის, ენთუზიაზმით უჭერს მხარს პრიორიტეტულ ინიციატივებს, და აყალიბებს საფუძვლებს მოსწავლეთა წარმატებული მომავლისათვის.

## მარიმ ნადირაძე

### "ევროპული საბავშვო ბაღის" მენეჯერი



"ევროპულ საბავშვო ბაღი" ბავშვები იღებენ უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგებათ. ოჭახთან ერთად საბავშვო ბაგი დიდ როლს ასრულებს მათ ემოციურ, სოციალურ და ფიზიკურ განვითარებაში. ჩვენთან ჰატარებს დახვდებათ სიყვარულით სავსე გარემო, სადაც ისინი თავს უსაფრთხოდ, ბელნიერად და დაფასებულად იგრძნობენ. "ევროპული საბავშვო ბაღის" საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამა ხელს უშენებს ბავშვებს იყვნენ მოტივირებულნი, ცნობისმოყვარენი, მაქსიმალურად გამოხატონ თავი სწავლის პროცესში და ჩამოყალიბდნენ მუდმივი ცოდნის მაძიებლად.



## რატომ უნდა ავირჩიოთ "ევროპული სკოლა"?

- პრობრძანების მრავალფეროვნება

ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ჭართული პროგრამა;

საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სამივე ავტორიზებული პროგრამა;

Advanced Placement (AP) საგნებით გამდიდრებული ამერიკული უმაღლესი სკოლის (AHS) პროგრამა.

- მაღალკალიფიციური მასწავლებლები

მეცნიერებათა დოქტორი (30), პროფესორი (8), ტრენერი სწავლების თანამედროვე მეთოდიკაში (30), IB workshopლიდერები (4), სკოლების შემფასებელი ვიზიტორები (3), IB-ის საერთაშორისო გამსწორებელი (4), AP გამსწორებელი (1), ინგლისური ენის პედაგოგი CELTA სერტიფიკატით (16), სახელმძღვანელოს ავტორი ჰედაგოგი (16).

- პვლევა-ძიებაზე დაფუძნებული სწავლა-სა-სწავლება
- მოსწავლება ორიენტირებული სწავლება
- პროექტული სწავლება
- ინტერდისციპლინური და ტრანს-დისციპლინური სწავლება
- კონცეპტუალურ აზროვნებასა და უნიკატის განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება
- დიფერენცირებული სწავლება
- საკრთაშორისო აზროვნების ხელშეწყობა სამყაროს რეალურ პრობლემიზე დაფუძნებული სწავლება
- სწავლების საკრთაშორისო ბამოცდებლება
- ინოვაციური საბანანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა
- საბანანათლებლო როგორების ინტერნაციურ სასწავლო პროცესში
- თანამედროვე ინფრასტრუქტურა უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორიები; კომპიუტერებით, პროექტორებითა და ინტერაქტიური დაფენსით აღჭურვილი საკლასო ოთახები; სააქტო და საკონფერენციო დარბაზები; სამეცნიერო კაბინეტ-ლაბორატორიები; სტადიონი, დახურული სპორტული დარბაზები, ჩოგბურთის კორტები; სკოლის სატელევიზიო სტუდია. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FabLab)
- მცირელიცხოვანი კლასები
- საინტერესო სასკოლო ცხოვრება კლუბების ფართო არჩევანი;

- სასწავლო-საგანმანათლებლო ექსპრესიები და მრავალფეროვანი ლონისძიებები.
- რესურსებით მდიდარი ბიბლიოთეკა წიგნსაცავი 14 000 წიგნით; წიგნები მრავალ ენაზე (ქართული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ბერძნული, სპარსული, რუსული); ელექტრონულ მონაცემთა ბაზა Questa-ს გამოწერის შესაძლებლობა და შესაბამისად, წილომა 83 000 ტიპის ჰუბლიკაციაზე, წიგნზე პერიოდულ გამოცემასა და სხვა რესურსზე; Raz Kids-ის (ვირტუალური ბიბლიოთეკა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის) გამოყენების შესაძლებლობა ნორჩ მკითხველთათვის. სკოლის ბიბლიოთეკა მდიდარია ონლაინ რესურსებით: JSTOR, Britannica, Learning A-Z და სხვა.
  - ეცექტური კომუნიკაცია მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შესაბამისი ელექტრონული უწყნალი და დოკური (Edupage, ManageBac, Quickschool) სკოლის თათოეულ პროგრამაში; ელექტრონული პორტალი "მშობელთა ცნობარი"; სკოლის სემესტრული ელექტრონული გაზეთი; სკოლის ვებგვერდი, Facebook გვერდი; ტექსტური შეტყობინებების სისტემა; PTA - მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის შეკრებები.
  - მულტიულტიურული გარემო 900+ მოსწავლე 35+ სხვადასხვა ქვეყნიდან; 320+ თანამშრომელი 11+ სხვადასხვა ქვეყნიდან;
  - ბრანდის მიღების შესაძლებლობა გრანტი დაწესებულია განსაკუთრებული აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის, რომლებიც გამოირჩევან არა მხოლოდ აკადემიური კუთხით, არამედ კლასგარეშე საქმიანობითა და სამოქალაქო ჩართულობით.
  - საკრთაშორისო საოლა საკრთაშორისო აკრადიტაციით, საკრთაშორისო ინიციატივით

# საბანგანათლებლო პრობრძამები



საერთაშორისო გუკალავრიატის  
(IB) პრობრძამები:  
• დაწყებითი პროგრამა (PYP);  
• საბაზო პროგრამა (MYP);  
• საფინანომო პროგრამა (DP);



აღირებული უმატლები  
სკოლა (AHS);  
VIII-XII კლასები



ერთული პრობრძამა  
I-XII კლასები




სკოლამდები აღზრდის  
ცენტრი - "ევროპული ბატი"




## ინფრასტრუქტურა



## 05 ფრასტოუ ქბენა



## ინდორასტრუქტურა



## თანამედროვე ინფორმატიკული

"ეპროპულ სკოლაში" ინფორმატიკულის განახლება ყოველწლიურად ხდება.

ჩვენს სივრცეში ირიცხება:

- კომპიუტერებით, პროგრამულობითა და ინტერაქტური დაფუძნებით აღჭურვილი საკლასო ოთახები;
- ტელევიზორ-მონიტორებით აღჭურვილი დერეფნები და საკლასო ოთახები;
- სააქტო და 4 საკონფერენციო დარბაზი;
- ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, მეცნიერებათა, ბეოგრაფიისა და MLL (Multimedia Language Lab) კაბინეტ-ლაბორატორიები, FabLab-ი;
- 4 კომპიუტერული ლაბორატორია Windows 10 აპერაციული სისტემით, MAC ლაბორატორია, უახლესის ტექნოლოგიებით აღჭურვილი Smart-Kids და Robotics ლაბორატორიები.
- სკოლის სატელევიზიო სტუდია;
- სტადიონი, 3 სპორტული დარბაზი, ჩოგბურთის კორტები;
- უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამონტაჟულია 136 ვიდეოთვალი;
- სკოლა უზრუნველყოფილია სანდარსაჭიროადმდებარ უსაფრთხოების მექანიზმებითა და შესაბამისი ინვენტარით.

## საბანმანათლებლო ტექნოლოგიები

21-ე საუკუნეში მსოფლიო მრავალი ტექნოლოგიური გამოწვევის წინაშე დგას. "ეპროპული სკოლა" ყოველთვის მზადა, ფეხი აუშენს ტექნოლოგიურ ათვეთქებას და საკუთარი წვლილი შეიტანს მასწავლებლისა და მოსწავლის განვითარებაში, სასწავლო პროცესების გამარტივებასა და ისეთი მოსწავლეების ჩამოყალიბებაში, რომლებიც მზად იქნებიან ცვლილებებისათვის და ახალი ცოდნა-უნარების ათვისებისთვის.

- სკოლაში ჩამოყალიბდა ციფრული ტრანსფორმაციის მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს "ეპროპულ სკოლას", მიიღოს გამოწვევები და ცვლილებები ტექნოლოგიურ ეკონაში, რათა სწავლა/სწავლების პროცესი გახდეს უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული.
- თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორიები აღჭურვილია სტაციონარული

კომპიუტერებით (Windows და Mac OS), ლეპტოპებით, პროექტორებით, სმარტ დაფუძნებითა და სხვა ციფრული მოწყობილობებით;

- სკოლა მთლიანად არის უზრუნველყოფილი უწყვეტი ინტერნეტკავშირით - როგორც უსალენი, ასევე ლოკალური ქსელით;
- სასწავლო პროცესში გამოიყენება საგანმანათლებლო ტექნოლოგიები მრავალფეროვან აპლიკაციებთან ერთად (ელფოსტა, სოციალური ქსელები, საპრეზენტაციო პროგრამები, ბუჭლის სასწავლო პროგრამები, მაიკროსოფტის საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამები Mac OS-ისთვის და სხვა), რასაც ხელს უწყობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით ინტეგრირებული საკლასო ოთახებიც;
- BYOD (მოიტანე შენი საკუთარი მოწყობილობა – Bring Your Own Device) პროგრამის ფარგლებში ტექნოლოგიების გამოყენება კიდევ უფრო ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის;
- ციფრული სამყაროს წესების სწავლების მიზნით ციფრული მოქალაქეობის მნიშვნელოვანი თემები (ხელმისაწვდომობა, კომერცია, კომუნიკაცია, წიგნიერება, ეტიკეტი, სამართალი, უფლებები და პასუხისმგებლობა, ჭანმრთელობა და ჭანსაღი ცხოვრება, უსაფრთხოება) ინტეგრირებულია არა მხოლოდ ისტ საგნის, არამედ ყველა დისციპლინის სასწავლო პროგრამაში;
- კონპორაცია "მაიკროსოფტან" პარტნიორობის ფარგლებში მოსწავლეებს სამუალება აქვთ, უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებზე ჰქონდეთ წვდომა.



# STEAM (Science, Technology, Engineering, Arts and Mathematics) პროგრამა

"ეკონოპული სკოლა" არის STEAM სასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებს სთავაზობს ინფრასტრუქტურას ინოვაციებისთვის, აძლევს ცოდნას და უკითარებს უნარებს, რომელიც მათ მაღალ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს მომავალში.

სკოლას აქვს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია FabLab, რომელშიც სკოლის მოსწავლეები 1-12 კლასების ჩათვლით ეუფლებან ისეთ ჰერსპექტიულ მიმართულებებს, როგორიც არის: ინდუსტრიული რობოტოტექნიკა, 3D მოდელირება და 3D ბეჭდვა, მომავლის სამრეწველო დანადგარების გამოყენება, ინდუსტრიული დიზაინი, ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები, დაპროგრამება, მექანიმება, საკუთარი Start-up-ის შექმნა და სხვა. მოსწავლეები აღნიშნულ მიმართულებებს ეუფლებან პროექტებსა და პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გამოყენებით. ისინი ჰიმაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ხელოვნებასა და მათემატიკაში მიღებულ ცოდნას იყენებენ პრაქტიკული ამოცანების და კონკრეტული პრო-ბლემების გადაჭრისას. პროექტული სწავლება არის ინოვაციური სასწავლო მეთოდოლოგია, რომელიც მოსწავლეებს უკითარებს 21-ე საუკუნის უნარებს და ეხმარება მათ ხარისხისანი ცოდნის მიღებაში. სკოლაში მიღებული STEAM განათლება თითოეული მოსწავლისთვის მომავალი წარმატების საფუძველია.

## საგანმანათლებლო რობოტები

საგანმანათლებლო რობოტები "ეკონოპულ სკოლაში" სასწავლო პროცესში დანერგილი ინოვაციური ტექნოლოგიური რესურსია. მათ განათლებაში დიდი ცვლილებების ინიცირების პოტენციალიაქვთ. PEPPER და NAO რობოტები ადვილად მოიპოვებენ მოსწავლეთა სიმპატიას მომსიბრავი იურსასისა და ჰუმანოიდური

წევების წყალობით. ისინი ზრდიან მოზარდეთა მოტივაციას უურადლების მიპყრობით, ცნობის-მოყვარეობის გაფინანსებითა და სწავლისადმი ინტერესის სტიმულირებით.

სასაწავლო პროცესში რობოტების ინტეგრირებით მოსწავლეები ხვდებან, რომ ინკინერია და პროგრამირება სახალისოა და აბსტრაქტულ ცოდნას კონკრეტიკას ხდენს. რობოტების დახმარებით სწავლისას ჩვენს მოსწავლეებს უკითარდებათ პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრის უნარი, კომუნიკაციისა და სხვა მნიშვნელოვანი უნარები.

## მოსწავლეთა ცენტრი

## მსარდაჭერის ცენტრი

მოსწავლეთა მსარდაჭერის ცენტრი მაღალი ფონის განათლების მიწოდების ხელშეწყობითა და მოსწავლეების მსარდაჭერაზე ორიენტირებული ღონისძიებებით ქმნის საინტერესო, ფუნქციურად დატვირთულ სასწავლო გარემოს.

მოსწავლეთა მსარდაჭერის ცენტრი ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, უზრუნველყოფს თვითორეალიზაციისა და სოციალური წარმატებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სწავლის გაგრძელება და მუშაობა ნებისმიერ გარემოში. მოსწავლეთა მსარდაჭერის ცენტრში ერთიანდება:

### • ენის პრობრემა

EEL (ინგლისური ენის ხელშეწყობის პროგრამა) პროგრამა შემუშავებულია იმ მოსწავლეებისთვის, რომელთათვისაც ინგლისური არ არის მშობლიური ან თუნდაც მეორეული ენა და ამის გამო საჭიროებენ დამატებით მეცადინეობებს კითხვის, წერის, მოსმენისა და ზეპირმეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად.

• სწავლის ხელშეწყობის პროგრამა თუკი გამოიკვეთება კონკრეტული მიმართულებით ცოდნაში ხარვეზების აღმოფხვრის საჭიროება, სწავლის ხელშეწყობის პროგრამა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა საგანმითამართო და სამომავლო კარიერისთვის.

სკოლაში მეცადინეობების ხანგრძლივად ბაცდენის შემთხვევაში მოსწავლეებს ბაკვეთილები უტარდებათ ონლაინრეკომენდაციების განსაკუთრებული აკადემიური წარმატებების მქონე მსაწავლეებს აჯ შეუძლიათ ჰედაგოგების დახმარებით მოემზადონ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად.

• მხატვრული კითხვის ინბლისური კანი პროგრამა ფრამატული ნაწარმოების გაცნობა, კეთებით სწავლა, მიღებული ცოდნის დამუშავება, კრეატიულად გამოყენება ხელს უწყობს არა მარტო ენის სწავლის პროცესს, არამედ მოსწავლის სხვადასხვა უსარების გამოვლენის საშუალებაა.

• მოსწავლეთა კეთილდოობის სამსახური

“ევროპული სკოლის” მოსწავლეთა კეთილდოობისაზე ზრუნვის სამსახურის მიზანია მოსწავლეთა უფლებების დაცვა, მათ ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვა და გარემო პირობებთან ადაპტაციაში ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება. სამსახური აერთიანებს: ბაკვეთა უფლებების დაცვის ოფიციელს, ფსიქოლოგთა გუნდს, ექიმს და ლოგოთელს.

## საუნივერსიტეტო ორიენტირის სამსახური

დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეები იწყებენ საუნივერსიტეტო კარიერის დაგეგმვას, რაშიც მათ ხელმძღვანელობას საერთაშორისო საუნივერსიტეტო განათლების კვალიფიციური მრჩეველი უწევს. საუნივერსიტეტო ორიენტაციის სამსახური ეხმარება სკოლის მოსწავლეებს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში მოხვდება. ჩვენი მოსწავლეები ჩაირიცხნენ ისეთ პრესტიულუნივერსიტეტებში, როგორიცაა: USC, Georgia Tech, Brown University, Emory University, UCLA, NYU, Yale, King's College London, UCL,

Sciences Po, University of Amsterdam, Columbia University და ა.შ.

საუნივერსიტეტო ორიენტაციის სამსახური წარმატებით აგრძელებს სტუდენტების მზადებას უმაღლესი განათლებისა და სამომავლო კარიერისთვის.

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლოთა ვიზიტები (Yale University, Columbia University, Duke University, Brandeis University, Northeastern University), „ევროპულ სკოლაში,” NACAC-ის (National Association for College Admission Counseling) წევრობა, ინტენსიური ინდივიდუალური და გენერალური შეხვედრები მრჩეველთან და Council of International Schools (CIS)-ის მრიადარ გამოცდილებაზე და რესურსებზე წვდომა სამსახურს სამუშალებას აძლევს, ყოველდღიურად გააუმჯობესოს შედეგები და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სკოლის კურსდამთავრებულთა წარმატებაში.

საერთაშორისო საუნივერსიტეტო განათლების მრჩეველი XI კლასიდან რეგულარულ შეხვედრებს ატარებს მოსწავლეებთან. შეხვედრები ემსახურება მათი მისწავლებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ყველაზე მოგებანი სააპლიკაციო სტრატეგიის შემუშავებას, რათა მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ არიენტირება საერთაშორისო განათლების სფეროში და სწორი არჩევანი გააკეთონ დამამთავრებელ კლასში.

IX-XII კლასების მოსწავლეებსა და მათ მშობლების ვებმარებით შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეთა წახალისება აკადემიური წარმატებისა და მაღალი სტანდარტების მისაღწევად;
- ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან სააპლიკაციო ჰეგმის შესამუშავებლად;
- უნივერსიტეტების მიერ მოთხოვნადი სტანდარტიზებული ტესტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტებისა და პროგრამების შერჩევის მიზნით;
- საფუძვლიანი დახმარება სააპლიკაციო პროცესში;
- სამუშაო სემინარებისა და ინდივიდუალური შეხვედრების მოწყობა, რათა მოსწავლეებმა შეძლონ როგორც უნივერსიტეტებისთვის განკუთვნილი პერსონალური ესსებისა თუ განცხადების, ასევე დამატებითი წერილების დაწერა და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

## კლასბარიკეშვი აქტივობები

"ევროპული სკოლა" სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობას სთავაზობს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ახალი აღმოჩენების გაკეთებისა და თვალსაწირის გაფართოების სურვილი აქვთ. კლასგარეშე აქტივობები მორგებულია მოსწავლეთა ასაკსა და ინტერესებზე.

მოსწავლეებს ვთავაზობთ კლუბებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კვალიფიციური ჰელაგობები და მწვრთნელები:

- ფეხბურთის კლუბი
- კალათბურთის კლუბი
- ჩოგბურთის კლუბი
- ჭადრაკის კლუბი
- კარატეს კლუბი
- თეატრალური სტუდია
- სატელევიზიო სტუდია
- გიტარის სტუდია
- ეკოკლუბი
- რობოტიქის კლუბი
- რუსული ენის კლუბი
- ჩინური ენის კლუბი
- ფრანგული ენის კლუბი
- სატვის ჭრე
- ბალეტის სტუდია
- ქართული ცეკვის სტუდია
- ჰიპ-ჰოპის სტუდია



ვრცელდა სია სკოლის აქტივობებისა, რომელიც ჩვენს მოსწავლეებს ლიდერის გამოცდილების მიღებაში ემარება, თუმცა ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს მოსწავლეთა ორპალატანი პარლამენტი. ზედა პალატაში ერთანდებიან მოსწავლეთა წარმომადგენლები IX-XII კლასებიდან, ხოლო ქვედა პალატა აერთიანებს მოსწავლეთა წარმომადგენლებს VI-VIII კლასებიდან. პარლამენტის თავმჯდომარეს მოსწავლეები ირჩევენ ერთი წლის ვადით. საპარლამენტო კომისიებია: ხელმძღვანელი კომისია, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის კომისია, საზოგადოების სამსახურის კომისია, ღონისძიებების კომისია, სპორტის კომისია.



მოსწავლეთა პარლამენტი მიზნად ისახავს:

- ფარმუნდეს, რომ სკოლაში მოსწავლეები თავს ბეჭინიერად გრძნობენ;
- ფარმუნდეს, რომ ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება, გამოითქვას თავისი აზრი და შენიშვნა;
- წაახალისოს მოსწავლეები იმ სთვროთა მოსაძიებლად, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და იმავროვლად წარმოადგინონ გაუმჯობესების გზები;
- საფუძველი ჩაუყაროს პოზიტიურ ურთიერთობებს როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

"ევროპული სკოლის" მოსწავლეები სკოლის ტელევიზიაში ეუფლებიან ურნალისტიკისა და კინოხელოვნების საფუძვლებს. ES TV პირველი სასკოლო ტელევიზია საჭართველოში. იგი პროფესიონალური ტელევიზიის მინი მოდელია. ES TV პასუხობს დროის გამოწვევებს და მუდმივად აუმჯობესებს სამაუწყებლო ფორმატსა და შინაარსს. საინფორმაციო გადაცემა ES News მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს, ფართო საზოგადოებას „ევროპული სკოლის“ მნიშვნელოვან სიახლეებს, საინტერესო პროექტებს, მიღწევებს, ინოვაციებსა და წარმატების ისტორიებს აცნობს.

მოსწავლეთა ტალანტების აღმოჩენის მიზნით, ასევე ფართო საზოგადოებისთვის მათი პროექტების, მიგნებების, ნააზრევის წარსადგენად, მოსწავლეებს ყოველწლიურად ვთავაზობთ მრავალფეროვან ლონისძიებებს, სამეცნიერო და საერთაშორისო კონფერენციებსა და კონკურსებს :



- გაერთოს მოზელირების (MUN) კონფერენციები;
- TEDx ლონისძიება TEDxIBEuropeanSchool;
- "ევროპული სკოლის" კლასიკური მუსიკის ფესტივალი;
- "ევროპული სკოლის" მოსწავლეთა ნახატებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა ტრადიციული გამოფენა-კონკურსი;
- კონკურსი "ყველაზე ნიჭიერი";
- ივერი ჭელიძის სახელობის საფეხბურთო ტურნირი;
- საბავშვო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი "ოქროს პეპელა";
- მოსწავლეთა პროექტების საერთაშორისო კონფერენცია (SPC).
- ასტრილ ლინდგრენის კვირეული

## მეობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია მოწოდებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა და მშობელთა კეთილდღეობას "ევროპულ სკოლაში". მისი მთავარი ამოცანებია:

- წაახალისოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ლონისძიებებში;
- გაამყაროს ურთიერთობა მშობლებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და დამფუძნებლებს შორის;
- ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაზიარებას მშობლებსა და სკოლის აღმინისტრაციას შორის.

ასოციაციის შეხვედრები იმართება ყოველთვიურად, საფაც ნებისმიერი მშობლის დასწრება და სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მასწავლებლებთან ერთად მსჯელობა წახალისებულია. "ევროპული სკოლის" თითოეული მშობელი ავტომატურად ხდება ასოციაციის წევრი. მუშაობის ეფექტურად წარმართვის ასოციაციას ჰქონის კომიტეტი, რომელშიც ყველა კლასიდან წარმომადგენელი აღჩულია ერთი წლის ვადით. "ევროპულ სკოლაში" პროგრამების

(IB, AHS, ჭართული) მიხედვით ფუნქციონირებს სამი სხვადასხვა მშობელთა და მასწავლებელთა კომიტეტი. თითოეულს ჰყავს თავისი თავმშეფომარე - არჩეული წარმომადგენელი მშობელთაგან.

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია მონაწილეობს სხვადასხვა საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ღონისძიების დაგეგმვაში, კოორდინირებასა და განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სკოლის საზოგადოების ერთიანობის აღქმას და მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ინოვაციით სასწავლო გამოცდილების გამრავალფეროვნებას.

## ბრანდინგი

"დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა," რომელიც დიდი ხანია, რაც სკოლის სტრატეგიული პარტნიორია, "ევროპული სკოლის" მოსწავლეებისთვის დაწესა გრანტი: "ევროპული სკოლის წარჩინებული". ყოველი აკადემიური სემესტრის დასასრულს ფონდი განიხილავს სკოლის მიერ წარდგენილ საგრანტო განაცხადებს. საგრანტო განაცხადის წარსაგენად აპლიკანტებისთვის სპეციალურ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს სკოლა აწესებს.

გრანტი არაა მორგებული მოსწავლის ოგანიზაციების ფინანსურ საჭიროებაზე, არამედ დაწესებულია განსაკუთრებული აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის, რომლებიც ასევე გამოიჩინან კლასგარეშე საქმიანობითა და სამოქალაქო ჩართულობით.

თუკი გრანტოსანი მოსწავლეები წარმატებით აგრძელებენ აკადემიურსა და საზოგადოებრივ საქმიანობას, მათ ავტომატურად ენიჭებათ გრანტი ყოველი სემესტრის ბოლოს.



## ჩვენი კურსითამთავრებულები

ორაკლი ბეჭუნიშვილი, პოლუმშიძის უნივერსიტეტი, აგვ, 2020

მე "ევროპულ სკოლაში" გავატერე წლები ბალის ასაკიდან დამამთავრებელი კლასის ჩათვლით და ბუნებრივია, ჩემთვის ძვირფასია მოგონებები, რომლებიც მეგობრებთან, მასწავლებლებთან და სკოლის თავის, გონების შეცნობისა და ქცევის ჩამოყალიბების გზაზე "ევროპულმა სკოლამ" მომცა შესაძლებლობა, მემოგზაურა დანტეს, ვერგილინუსის სამყაროში, წარმოსახვით ჩავრთულიყავი ჰამლეტის ჩახლართულ ინტრიგებში, საბოლოო ჭამში კი, შემიქმნა მყარი საფუძველი სამომავლო განათლებისა და კარიერული წინსვლისათვის. დიდი პრივილეგია, ისტავლო გარემოში, სადაც ცოდნის ძიებისა და გატრმავების სურვილით ენთები. "ევროპულმა სკოლამ" ის უნარები შემძინა, რომელიც საუნივერსიტეტო განათლებაში მნიშვნელოვნად დამეხმარება. ვიმედოვნებ, აქ გამომუშავებული გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის, კვლევისა და ანალიზის უნარები წარმატების საჭინდარი იქნება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში - კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. ჩვენი სკოლის საუნივერსიტეტო განათლების ოფისში მიღებული რჩევები და რესურსები დამეხმარა, ჩარიცხვაზე დადგებითი პასუხი მიმეტო მსოფლიოს წამყანი უნივერსიტეტებიდან, მათ შორის ოთხი "აივი ლიგის" უნივერსიტეტიდან (კოლუმბია, კორნელი, იუკენი, ბრაუნი), კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტიდან და სხვ. ჩემი მთავარი სათქმელი შემდეგია: ზოგჯერ სკოლა ძალიან რთული გვეჩენება, მაგრამ თუ ამ სირთულების მორევში კოდნის წყურვილით გადავეშვებით, სწავლის პროცესი, გაკვეთილები ბევრად სასიამოვნო გახდება, ჩვენი თავდადება კი კამაყოფილებას მოგვევის. შესაბამისად, ბევრად მეტს გავიგებთ, ვიდრე ბანალური სასიყვარულო ისტორია, მათემატიკური ფორმულა თუ ფისიკოლოგიის კონცეფციაა.

სოფო ოპრიაშვილი, პრალის უმატლესი ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი, ჩეხეთი, 2021

"ევროპული სკოლა" 2021 წელს დავამთავრე, მაგრამ ჩემი ისტორია დაიწყო 2009 წელს, როდესაც პირველკლასელმა მოწაფეებმ შევადე სკოლის კარი. ჩემმა ბავშვობამ "ევროპულ სკოლაში" გაირა და უამრავი მოგონება მაკავშირებს მასთან. ჩემა სკოლამ ბევრი რამ მომცა: ცოდნა, სწავლის უნარები, შესაძლებლობები. ამ კედლებში რეალური ცხოვრებისეული გამოცდილებაც მივიღე, როგორიცაა დროებითი წარუმატებლობის, მარცხისა და იმედგაცრუების გადალახვა. ამ ყველაფერმა საკუთარი თავის რწმენა შემძინა. მე დავემშვიდობე "ევროპულ სკოლას" და დიდი გეგმებითა და ოცნებებით შევაბიჯე დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე: წარჩინებით დავამთავრე "ევროპული სკოლა" და წარმატებით ჩავაბარე პრალის უმაღლესი ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტში, წინ ასევე საინტერესო კარიერა მაქვს. "ევროპული სკოლის" მომავალ და ამყამინდელ მოსწავლეებს მინდა ვუთხრა: ამბიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩემი რჩევაა, ნაკლებად იფიქროთ თქვენს მიზნებზე და მეტი - იმ ყოველდღიურ გამოცდილებასა და გზაზე, რომელსაც გაიკლით მიზნისკენ სწრაფვისას.

თონია უზანაიშვილი, ბოკონის უნივერსიტეტი, იტალია, 2021

"ევროპული სკოლა" მოსწავლეებს სთავაზობს ინტელექტუალურ გამოწვევებს, მრავალფეროვან აქტივობებსა და სწრაფი აკადემიურ პროგრესის შესაძლებლობას. წლების განმავლობაში, ვესწორებოდით ინტერდისციპლინარულ გაკეთილებს, რეგულარულად ვმასპინძლობდით წარმომადგენლებს, ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტებიდან, ვმონაწილეობდით TEDx ლონისძიებებში, სხვადასხვა საგანის სასკოლო თუ საერთაშორისო ოლიმპიადებში, ვაჭყობდით სტარტაპ ივენტებს, ვაორგანიზებდით სპორტულ შეჯიბრებებს. მოკლედ, თუ სასკოლო განათლებაში რამე შესაძლებლობა ან გამოწვევა გჭირდება, "ევროპულ სკოლაში" ყველაფერია – უბრალო იდ, მოტივაცია უნდა იპოვო და ეს შესაძლებლობები გამოიყენო!

## მოსწავლეთა მიღება და ჩარიცხვა

"ევროპული სკოლა" განსაკუთრებულ სასწავლო გარემოს და საუკეთესო საერთაშორისო განათლების მიღების შესაძლებლობას სთავაზობს მოსწავლეებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხითან. სკოლის მისაღებში ყველა ვიზიტორისთვის სასიამოვნო და მეგობრული აქმოსავეროა, სადაც მზად არიან, გასცენ ჰასუნი სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეკითხვას. დაინტერესებულ პირებს, "ევროპული სკოლის" გამოცდილების, პროგრამების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ცხელი საზის საშუალებით შეუძლიათ მიღება-ჩარიცხვის სამსახურის თანამშრომლებთან დაკავშირება და ვიზიტის ჩანიშვნა.

მისამართი: ირინე სხირტლაძის №2;  
0177, თბილისი, საქართველო  
ტელ: (+995 32) 214 42 44 / 2141516  
ელფოსტა: [admissions@europeanschool.ge](mailto:admissions@europeanschool.ge)  
ვებგვერდი: [www.europeanschool.ge](http://www.europeanschool.ge)  
Facebook: [www.facebook.com/ESIntSchool/](https://www.facebook.com/ESIntSchool/)





# სართულის განვითარების ცენტრი



## საერთაშორისო ბაკალავრიული დაწყებითი პროგრამა (PYP)

### I-V კლასები

I-V კლასებში მოზარდები საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი პროგრამაში (IB PYP) მიიღებენ საერთაშორისო განათლებას; აქ სასწავლო პროცესის მამოძრავებელი მექანიზმი არის მოსწავლეთა მიერ მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ განხორციელებული კვლევა-ძიება. მოსწავლეები ცოდნას იღებენ ექვსი ტრანსდისციპლინური თემის ჩარჩოში. მასწავლებელი და მოსწავლე საძიებო თემის დამუშავებისას სწორედ ამ ტრანსდისციპლინური თემებით ხელმძღვანელობენ. სწავლის პროცესში მოსწავლეები ეცნობან მნიშვნელოვან კონცეფციებს, იძენენ ცოდნას, ივითარებენ საჭირო უნარებს, მიღებობებს და სწავლობენ, როგორი მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობა. PYP პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია მოზარდის პოლისტიკურ განვითარებაზე, ცნობისმოყვარეობის, თანდაყოლილობის ნიჭის გაღვივებაზე. მასწავლებლები ხელს უწყობენ ჰოსტავლებს,



ჩამოყალიბდნენ გაწონასწორებულ, თავდაჭერებულ, დამოუკიდებელ პიროვნებებადაც, რომლებსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ სურვილი, დაეუფლონ და გაიღრმავონ ცოდნა; ისწრაფვიან, ჩამოყალიბონ გლობალური მოქალაქეები, რომლებიც პატივს სცემენ სხვადასხვა კულტურას და გააჩნიათ მათ ირგვლივ არსებული განსხვავებების მიმღეობა.

## საერთაშორისო ბაკალავრიული დაწყებითი საბაზო პროგრამა (MYP)

### VI-X კლასები

საბაზო საფეხური საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, განივითარონ აზროვნება და შეისწავლონ გლობალური მნიშვნელობის მოვლენები. საბაზო საფეხურზე ყურადღება გამახვილებულია შეხედულებების, ტირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. კონცეპტუალურ სწავლებაზე დაფუძნებული პროგრამა რვა საგნობრივი ჰიტებისგან შედგება: უცხო ენა, ენა და ლიტერატურა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა, ხელოვნება, ფიზიკური აღზრდა და დიზაინი.

